სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. წელიწადი პირველი. გრძოლაში ჰპოებ შენს უფლებას!

სამშაბათი 6 აგვისტო 1918 წ.

ორგანო

№ 3

გაზეთის ფასი 40 კაპ.

ოსმალთა ჯარმა აიღო ბაქო. მთავრობამ მიიღო კანონპროექტი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სახ. ეროვ. საბჭოში მონაწილეობის შესახებ.

ორგანო საქართველოში მომქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифлисъ, Контора Газ. „Шрома", Чавчавадзевская ул. Софійская школа.* სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.

რედაქციის მისამართი: *Тифлисъ Редакція газ. „Шрома" Чавчавадзовская ул. Софійская школа.*

ქ. თბილისი, 6 აგვისტო.

ბაქო დაეცა. ბეგებმა და ხანებმა მიაღწიეს თავის დიდი ხნის სურვილებს. ამიერ-კავკასიის მოწინავე პროლეტარიატი, რომელიც ბრძოლის წინა რიგებში იდგა და მხარის მთელს მოძრაობას ტონს აძლევდა, ოსმალეთის ვანდალიზმის მსხვერპლი შეიქნა. ბოლშევიკების ავანტიურა, როგორც მრავალ სხვაგან, აქაც რეაქციის გამარჯვებით დაგვირგვინდა. ჯერ კიდევ სავსებით არ არის გამორკვეული, თუ რა პირობებში მოხდა ბაქოს აღება, მაგრამ ის, რაც უკვე ვიცით, მეტად დამახასიათებელია ბოლშევიზმისათვის, რომელიც დღეს რუსეთში საშინელ კრიზისს განიცდის.

ძას შემდეგ, რაც ბოლშევიკებს ეშელონების საშუალებით თბილისის აღების იმედები გაუცრუვდათ, თვისი პოლიტიკური მოღვაწეობის ცენტრი მათ ბაქოში გადაიტანეს. ამიერ-კავკასიის დემოკრატიის საერთო ზომიერმა პოლიტიკამ და ბეგებთან შეთანხმების და შეგუების ტაქტიკამ, რომელმაც სეიმში თავის კულმინაციას მიაღწია, პოხიერი ნიადაგი მოუპოვა ბაქოს პროლეტარიატში ბოლშევიკების დემაგოგიას და ავანტიურას.

ბეგების კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბაქოს პროლეტარიატი გამოვიდა იარაღით ხელში. ამიერ-კავკასიის დემოკრატიის რევოლიუციონური და ინტერნაციონალისტური ელემენტების თანაგრძნობა და სიმპატია მაშინ სავსებით ბაქოს პროლეტარიატისაკენ იყო, ვინაიდან ის იბრძოდა ორი ძალა: რევოლიუცია და რეაქცია—რევოლიუციონური პროლეტარიატი ებრძოდა ბეგების და ხანების რეაქციას, მაგრამ ბაქოს პროლეტარიატის მეთმურებმა ოპორტუნისტული პოლიტიკის მეოხებით ბაქოს პროლეტარიატის შეიარაღებულმა გამოსვლამ მოგვცა არა ის შედეგები, რომლებიც სასურველი იყო შეშმარიტ ინტერნაციონალისტებისათვის, არამედ მოგვცა ის, რაც ასე ახარებს შოვინისტებს და რეაქციონერებს: ბურჟუაზია და ფეოდალური არისტოკრატია უვნებლად დარჩენ, ხოლო მუსულმან მუშები კი ათასობით დახოცილ იქნენ!

აქედან დაიწყო ბაქოს პროლეტარიატის გამოფხიზლება, რასაც ხელს უწყობდა საოცარი უუნაროობა, რომელიც ბოლშევიკებმა აქ, როგორც ყველგან, პრაქტიკულ ცხოვრების რევოლიუციონურ მოწესრიგებაში გამოიჩინეს... თუ რამდენად დაეცა და გაიხრწნა ბაქოში ბოლშევიკური მთავრობა, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ რამდენიმე დღის წინეთ, ვიდრე ბაქოს ოსმალეთი აიღებდა, ჯარისკაცებმა და მუშებმა ბოლშევიკური მთავრობა თვითონ ჩამოაგდეს!

ჯერ დაეცა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბაქოს.

უბაქოოთ რუსეთის მრეწველობის არსებობა და განვითარება ძნელი წარმოსადგენია. ბაქოს აქვს აგრეთვე მსოფლიო მნიშვნელობა... ლენინის მთავრობას არ მიუღია სათანადო ზომები ბაქოს დასაცავად. ეს საუკეთესო დამამტკიცებელია იმის, რომ

ინტერესები რუსეთის და რუსეთის დემოკრატიისა ლენინისათვის ლიტონი სიტყვებია. ეს ამავე დროს საუკეთესო გაკვეთილია იმ გულუბრყვილო პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც სომხის და ქართველ დემოკრატიის ფიზიკური განადგურებისაგან გადასარჩენად საბჭოთა მთავრობის აღიარებას ჭვირჩევდენ.

პრესა.

პატარა იმპერიალისტები.

ჩვენმა ნაციონალისტებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, აგვრესიულ იმპერიალისტურ ჰანგზე დაიწყეს ლაპარაკი. ისინი სიხარულით ეგებებიან გენ. მაზნიაშვილის მიერ ტუაპსეს აღებას და დასძენს, რომ შავი ზღვის სანაპიროები: ტუაფსე, ნოვოროსიისკი და სოჩა ეკუთვნის მხოლოდ ქართველებსო. აი რას სწერს „საქართველო" ამის შესახებ:

„ჩვენმა ჯარმა გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით ტუაფსე აიღო. ჩვენ არ ვიცით შეჩერდება ძლევამოსილი სარდალი ამ ქალაქში, თუ კიდევ წინ წაიწევს გელენჯიხისა და ნოვოროსიისკენ. ამიერ-კავკასიისა და იმიერ-კავკასიის გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული მიჯნა უფრო გელენჯიხის ნავთსადგურია, ვიდრე ტუაპსე ადმინისტრატიულად კი ძველი რეჟიმის დროს თვით ნოვოროსიისკიც ამიერ-კავკასიაში შემოდიოდა. თუ ჩვენი სახელმწიფო ყოფილი ამ.-კავკ. რესპუბლიკის კანონიერი მემკვიდრეა, შავი ზღვის გუბერნიას სხვა პრეტენდენტი არ უნდა ჰყავდეს, გარდა საქართველოს რესპუბლიკისა...

დღესდღეობით, როცა ბათუმის ბედი გამორკვეული არ არის, ბუნებრივად ორკეცდება ინტერესი სოჩისა, ტუაპსისა და ნოვოროსიისკისადმი. რასაკვირველია, ჯიქეთ-აფხაზეთის რივიერა ვერასოდეს ვერ დაგვავიწყებს და აგვინაზღვაურებს აჭარა-ქობულეთსა და შავშეთ-ლივანას. მაგრამ თუ ბათუმის ოლქის ბედი ჩვენი მოლოდინისა და სამართლიანი მოთხოვნილების წინააღმდეგ ჩვენდა საზარალოდ გადასწყდა, მდგომარეობის სიმწვავე ცოტათი მაინც განელდება ჩრდილოეთ ნავთსადგურების შეძენით".

ასე მღერიან ეს პატარა იმპერიალისტები. ისინი ამ ადგილებს საქართველოს ტერიტორიათ სთვლიან და აქედანვე ანგარიშობენ, თუ რა დიდი შემოსავალი ექნება ჩვენს ხაზინას ამ ადგილებიდან.

მაგრამ ერთი რამ კი ავიწყდებათ მათ, ქართველი ხალხი, რომლის აბსოლიუტური უმრავლესობა სოციალიზმის დროშის ქვეშ სდგას, არ გაჰყვება იმპერიალისტურ ლოზუნგებს. მისთვის ყოველთვის ძვირფასი იყო საერთაშორისო სოლიდარობის იდეა, მას ყოველთვის ღრმათ შეგნებული ჰქონდა ლოზუნგი: შენც იარსებე და სხვასაც მიეც ნორმალურ არსებობის საშუალება.

და ეს შეგნება შეაკვეცს ფრთებს ნაციონალისტების იმპერიალისტურ ზრახვათ.

ფედერალისტები და სოც.-დემოკრატები.

დღეს ფედერალისტები და სოც.-დემ. მენშევიკები ერთათ არიან და შეთანხმებულათ მუშაობენ.

ასეთი მდგომარეობა არ იქნება გასაკვირველი იმისთვის, ვინც ბევრათ თუ ცოტათ თვალყურს ადევნებდა ფედერალისტების ყოველდღიურ პრაქტიკულ მოღვაწეობას, ვინც იცნობს მათ პოლიტიკას. გაუკვირდება ეს მხოლოდ იმას, ვინც იცნობდა ფედერალისტებს მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ისინი აწარმოებდენ ბრძოლას ახლად მოპოებულ „მეგობრების" წინააღმდეგ. „შეიძლება ეს პირველ შეხედვით ვისმეს ეუცხოვოს, სწერს გაზ. „სახ. საქ." ფურცლებზე ბ. ფირცხალავა, ადამიანები თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ერთმანეთს მტრობდენ, ერთხელაც არ გამოსულან ერთად და ეხლა ერთბაშათ ასეთი ცვლილება მოხდაო". დიაღ, ეს პირველ შეხედვით საკვირველია, მაგრამ საკითხში ღრმათ ჩახედვის შემდეგ ის ადვილი ასახსნელია და მხოლოდ იმიტომ და იმდენად, რამდენათაც რამდენათაც ფედერალისტები მოკლებულნი არიან მტკიცე პოლიტიკას.

აღსანიშნავია, რომ ფედერალისტების ყოველდღიური პრაქტიკა ხასიათდება არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებთან შეგუებით. რაიც ოპორტიუნიზმის მძიმე ბეჭედს ასვამს მათ. 1904—5 წლებში ისინი გამოდიოდენ ჩვენთან ერთად და იდგნენ კლასობრივ ნიადაგზე. რეაქციის გამეფების შემდეგ მათ უმალ შეიცვალეს თავის სამოსელი, დაიწყეს კლასთა ბრძოლის იდეა და დაიწყეს ბურჟუაზიულ-ლიბერალურ პოლიტიკის წარმოება.

1914 წელში ისინი მოითხოვდენ ბიუროკრატიულ ერობას, და ახლა ბუთებდენ ამ მოთხოვნას იმით, რომ რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა მეტს არ მოგვცემსო. მიწის სოციალიზაციაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ვინ არ იცის, რომ მათი ოფიციალური წარმომადგენლები, კიდევ რეაქციის ხანაში მოითხოვდენ სათავად-აზნაურო კომისიების დაარსებას, რომელთაც უნდა შეესყიდათ მიწები, რათა უკანასკნელი არ გადასულიყო უცხოელების ხელში. და მხოლოდ მაშინ, როდესაც დაჰბერა რევოლიუციის ქარიშხალმა, მათაც აღიმაღლეს ხმა და გაჰკიოდენ ჩვენ მიწის სოციალიზაციას მოვითხოვთო.

მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მოთხოვნა არ ყოფილა გულწრფელი. ჩვენ ყოველთვის ვიყავით დარწმუნებული და ეხლაც მით უმეტეს, რომ ფედერალისტების პარტია არის შემოკრებილი ერთ ლოზუნგის გარშემო—ეს არის ეროვნული საკითხი. სოციალურ-ეკონომიურ კონცეპციას მათ მსოფლმხედველობაში მცირე ხარისხოვანი ალაგი ეჭირა. მშრომელთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა მათ იმდენათ არ აინტერესებდათ, რამდენათაც საქართველოს პოლიტიკური ბედი. და ამით აიხსნება ის, რომ დღეს ფედერალისტები უსიტყვოთ ადასტურებენ მენშევიკების ყოველ ნაბიჯს, რომლებიც ეხლა აწარმოებენ მხოლოთ ნაციონალურ პოლიტიკას. და ფედერალისტები კვერს უკრავენ მენშევიკების ყველა იმ ზომებს, რომლებიც მათის აზრით, მიმართულია საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისაკენ. თუ როგორ იცავენ ისინი საქართველოს დამოუკიდებლობას ამას თვით ფედერალისტებიც კარგათ ხედავენ. „სახალხო საქ." მე-№ 298-ში სწერია: ჩვენში მომხდარი აჯანყება „არსებითად კონტრრევოლიუციონურია"... და მთავრობა ძლიერ კარგათ იქცევა, როდესაც ამნაირ ვანდეის სასტიკათ ებრძვის და სისხლით სურს გაუქროს მოწინააღმდეგეებს ბრძოლის სურვილი... ზედმეტია აქ სენტიმენტალობა, წუწუნი და ყოველგვარი უკიდურესი ღონისძიება აქ მისაღებია... დიაღ, ვუპასუხებთ ჩვენ როზესპიერის სიტყვებით, ცული, ასე რომ ბრწყინავს თავისუფლებისათვის მებრძოლთა ხელში ისეთია, როგორც ცული ტირანებსა და ჯალათებს, რომ უჭერიათ.

ფედერალისტები ამბობენ, რომ აგრალური საკითხში, მართალია, დიდი განსხვავებაა ჩვენსა და მენშევიკებს შორის, მაგრამ ამგვარი განსხვავება არსებითად ხელს არ შეუშლის შეთანხმებით მუშაობასო.

ცხადია, რომ მიწის საკითხის რაციონალური გადაჭრაზეა დამოკიდებულია ჩვენი მშრომელ გლეხობის მომავალი. მენშევიკები კი ისე სწყვეტენ ამ საკითხს, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება გლეხობის ინტერესებს. და ეს ძალიან კარგათ იციან ფედერალისტებმა, იციან რომ მენშევიკებს სურთ მიწაზე კერძო საკუთრების განმტკიცება, მაგრამ მაინც შეთანხმებულათ იმუშაობენ მათთან მიუხედავათ იმისა, რომ ისინი წინათ მიწისგან საზოგადოების „დამცველებათ" გამოდიოდენ.

ყოველივე ზემო ნათქვამი ნათელ ჰყოფს, რომ სოციალისტური პროგრამა, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე—მათ აინტერესებდა მხოლოდ სხვათა შორის და რომ მათ არა აქვთ გარკვეული და მტკიცე პოლიტიკური გეზი.

მართალია, დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებს აქვთ ბევრი საერთო რამ, ისინი პრაქტიკულ მოღვაწეობაში ხშირათ შეხვდებიან ერთმანეთს და საერთო ტაქტიკულ თუ პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურმა პარტიამ თავის საკუთარი სახე უნდა დაკარგოს და სხვისი უფასო დამატება შეიქნეს. ასეთი რამ მხოლოთ იმ პოლიტიკურ პარტიას მოუა, რომელსაც არ აქვს თვისი საკუთარი პოლიტიკური და იდეოლოგიური შკოლა, არ აქვს საერთო გამოსასვლელი წერტილი, რის გამოც ყოველ კერძო შემთხვევაში მერყეობას და გაურკვევლობას განიცდის, ასეთი მოვლენა ახასიათებდა ფედერალესტებს ყოველთვის და ახასიათებს ახლაც ჩვენ ეს ბევრჯერ აღგვინიშნავს ჩვენს პრესაში.

Rebus.

მთავრობაში

სურსათის მინისტრის მოხსენები მთავრობამ დაადგინა: მიენდოს სასურსათო მინისტრს შეჰკრას ხელშეკრულება ადერბეიჯანის მთავრობასთან პურის და შაქრის გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

რკინის გზის უმთავრეს კომიტეტს მთავრობამ უფლება მისცა შეიძინოს სხვადასხვა ადგილებში პური.

ვაჟა

(1864–1915)

ალუდა ქეთელაური

ალუდა ქეთელაური ცხოვრობდა ფშავში, სოფელ ხახმატში. ის იყო ვაჟკაცი, ლამაზი, ტანადი, ფიქრიანი. ალუდა ქეთელაურის ცოლი ერქვა ფშაველ ქალს, ლამაზ ხორციანს, ლაღ ხასიათის პატრონს, სახელად ლალეტანს. ალუდა ქეთელაურს ჰყავდა ორი ვაჟიშვილი, ორი ლამაზი ბიჭი, ორი ლომი. ალუდა ქეთელაური ცხოვრობდა ბედნიერად, ალუდა ქეთელაური ცხოვრობდა ლამაზად, ალუდა ქეთელაური ცხოვრობდა ვაჟკაცურად.

ალუდა ქეთელაური ხშირად დადიოდა ნადირობაზე. ალუდა ქეთელაური ხშირად ხოცავდა ნადირს. ალუდა ქეთელაური ხშირად ბრუნდებოდა ნადირობიდან ხელცარიელი. ალუდა ქეთელაური ხშირად ტოვებდა ნადირს ტყეში. ალუდა ქეთელაური ხშირად ტოვებდა ნადირს ტყეში, რადგან ალუდა ქეთელაური ხშირად ნადირობდა ტყეში.

ალუდა ქეთელაური ხშირად ნადირობდა ტყეში, რადგან

საბჭოების წინააღმდეგ.

პეტროგრადში, ნოვგოროდში, მუ-რომში, რიბინსკში და რუსეთის სხვა ალაქებში მოხდა მუშების შეიარაღე-ული გამოსვლა ბოლშევიკების წინააღ-დეგ. პეტროგრადში, მაგალითად, აჯან-ებულთა რიცხვი აღემატება პეტრო-რადის გარნიზონს, რომელიც საბჭოთა ხელა-უფლებას აღიარებს. მუშები მოით-ოვენ რუსეთის დამფუძნებელ კრების ოხვედრას.

სახალხო კომისართა საბჭოს პრო-ტესტი.

სახალხო კომისართა საბჭოს საგარეო ქმეთა კომისარიატმა გაუგზავნა ინგ-ისის წარმომადგენელს ნოტა, რომელ-შიაც ის მოითხოვს ინგლისის ჯარების მურმანიდან გაყვანას.

კომისარიატი აგრეთვე პროტესტს გა-მოსთქვამს იმის გამო, რომ მურმანზე ემსოფება ინგლისის გემები.

კადეტების საერთაშორისო პოლი-ტიკა.

გაზ. „იზვესტია“ სწერს: საერთაშო-რისო პოლიტიკის საკითხში კადეტების პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ გამოუტანია რაიმე განსაკუთრებული რე-ზოლიუცია. მხოლოდ პრინციპიალურათ. მიღებული იყო გინავერის მოხსენება კა-დეტების პარტიის საერთაშორისო პო-ლიტიკაზე. ამ მოხსენების დებულებებს არა აქვთ რაიმე გარკვეული სახე და მათი დახასიათება შეიძლება, როგორც „თავისუფალ ხელების პოლიტიკა“. მოხს-ენებაში აღნიშნული იყო, რომ საჭირო-ა შეიარაღებული გამოსვლა, თუ რუსეთში შემოიჭრა რომელიმე იმპერიალისტური ჯგუფი. კ.—დ. პარტიის მეთაურები გაურბოდენ რაიმე გარკვეულ პასუხის-გაცემას ამ კითხვაზე და აბობდენ, რომ პარტია რუსეთის კეთილდღეობისათვის გაიგებს როგორ პოლიტიკას დაადგეს ის.

მრეწველობის ნაციონალიზაციი კანო-ნის გაუქმება.

ციმბირის მთავრობამ გააუქმა მრეწვე-ლობის ნაციონალიზაციის შესახებ კა-ნონი.

გენ. ალექსეევის დანიშვნა.

გენ. ალექსეევი ინიშნება ციმბირის სამხედრო მინისტრათ. პრემიერ მინისტრ დერბერგმა განაცხადა, რომ ციმბირის მთავრობას ამ ჟამათ ჰყავს საკმაო ჯარი და მას შეუძლია დაიწყოს საბოლოო შეტევა რუსეთის საბჭოთა მთავრობის დასამხობათ.

ზავის გარშემო.

ინგლისი და გერმანეთი.

ლონდონის სავაჭრო პალატამ გაუგ-ზავნა ინგლისის მთავრობას რეზოლიუ-ცია, რომელშიაც ის მოითხოვს, რათა გერმანეთის წინააღმდეგ გამართულ იქმ-ნეს ფართო მასშტაბით ეკონომიური ომი, პალატა დასძენს, რომ ეს საშუა-ლება აისრულებს გერმანეთს გაათავოს ომი.

გერკულის (ინგლისი) შალეულობის ბირჟამ აუკრძალა თავის წევრებს, ზავის ჩამოგდების შემდეგ ათი წლის განმავ-ლობაში, იქონიონ გერმანეთთან რაიმე საქმიანი დამოკიდებულება. ამ რეზო-ლიუციამ დიდი გავლენა მოახდინა გერ-მანეთის სავაჭრო-სამრეწველო წრეებში.

პრუსიის უმაღლეს პალატაში.

პრუსიის უმაღლეს პალატაში პრუსიის მინისტრთა კაბინეთის თავმჯდომარე ფრიდებერგმა წარმოსთქვა სიტყვა მთავ-რობის პოლიტიკის შესახებ: ფრიდბერ-გმა განაცხადა რა, რომ საგარეო საქ-მეთა სტატს-სეკრეტარის სიტყვის მიერ გამოწვეული გაუგებრობა გაფანტულია რეიხს კანცლერის განმარტებით—სთქვა: ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ გავიმარჯვებთ, და დამარცხებაზე ფიქრიც არ შეიძლება. პირიქით, არავის არ შეუძლია გამოგვს-ტაცოს გამარჯვება ხელიდან. ჩვენ გავი-მარჯვეთ ადმოსავლეთით და გავიმარჯ-ვებთ დასავლეთითაც. ჩვენ აგრეთვე დარწმუნებული ვართ, რომ გერმანეთის მახვილი მოგვანიჭებს გამარჯვებას და გვწამს, რომ ეს გამარჯვება არც ისე შორსაა.

სტატს-სეკრეტარ დერნბურგმა თა-ვის სიტყვაში აღნიშნა.

„ჩვენც არ გვინდა ისეთი ზავი, რო-მელიც შეაფერხებს გერმანეთის თავისუ-ფალ განვითარებას. მაგრამ ჩვენ ვერ მოგითმენთ იმასაც, რომ ბრძოლა გაგრ-ძელდეს, ერთი საათითაც კი იმაზე მეტი, რაც გამოწვეულია აუცილებლობით.

დიპლომატიის დაუხმარებლათ არ შეი-ძლება დავაყენოთ ზავის საქმე სწორ გზაზე. ბრძოლის ველზე არასოდეს არ შეკრულა საზაო ხელშეკრულება.

გერმანეთის პრესა გერტლინგის სიტყვის შესახებ.

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში მო-ყვანილი იყო ადგილები გერტლინგის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა რეიხსტაგში. ამ სიტყვის შესახებ ბერ-ლინის გაზეთები აღნიშნავენ. კანცლე-რის განმარტება იმედებს იძლევა, რომ გავლენიან სფეროებმა საჭიროთ აღია-რეს პოლიტიკურ ორგანოების და სამ-ხედრო სარდლობის პროგრამების ერთი-ანობა ზავის საკითხში. პრესა თანაგრ-ძნობით ეკიდება გერტლინგის სიტყვას. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ „დო-იტში ცეიტუნგ“-ი. კერძოთ ბელგიის შესახებ ეს გაზეთი სწერს.

— თუ გერტლინგის განმარტება ნიშ-ნავს ბელგიაზე უარის თქმას, მაშინ ყველა იმ პარტიებმა, რომელთაც სწა-დიათ ზავი, უნდა ბრძოლა გამოუცხა-დონ გერტლინგის მთავრობას.

პუანკარე-ზავის შესახებ.

პუანკარემ მიმართა დიპლომატიურ კორპუსს სიტყვით, რომელშიაც კიდევ გაუსვა ხაზი, რომ მოკავშირეებს არა აქვთ არავითარი მიზეზი პირველათ დაიწყონ საზავო მოლაპარაკება. ინი-ციატივა უნდა გამოდიოდეს ცენტრა-ლურ სახელმწიფოებისაგან.

ციმბირი.

გენ. ხორვატი.

რეიტერის სააგენტოს აუწყებენ ხარბი-ნიდან, რომ რუსი გენერალი ხორვატი დანიშნულია ციმბირის პროვინციების უფროსათ. მას ევალება სისრულეში მოი-ყვანოს ხელ შეკრულებები მოკავშირეებ-თან, მოაწყოს ჯარის ორგანიზაცია და აღადგინოს კერძო საკუთრება.

ძალდატანებითი მობილიზაცია.

ციმბირის მთავრობამ, რომელსაც მხა-რს უჭერენ ჩეხო-სლოვაკები. მოხალისე-თა და ოფიცრების რაზმები გამოაცხადა ძალდატანებითი მობილიზაცია 18 წლი-დან 43 წლამდე.

ციმბირის დამფუძნებელი კრება.

მოსულ ცნობებით, ციმბირის მთავრ-ობას განზრახვა აქვს მოიწვიოს ციმბი-რის დამფუძნებელი კრება მხარეში წე-იერების დასამყარებლათ. მთავრობის-უახლოესი მიზანია: გაანთავისუფლოს ციმ ბირი ბოლშევიკებისაგან და გარეშე ძა-ლების ჩარევისაგან, დახუროს მუშათა დეპუტატების პროვინციალური საბჭოები და დაურიგოს მიწა ყოველ-უადგილ მა-მულო გლეხებს.

დონი და გერმანეთი.

სამთამადნო მრეწველთა ყრილობაზე დონის ატამან კრასნოვმა განაცხადა, რომ დონის მთავრობა გზავნის კიევში, გერმანეთის სარდლობასთან, დელეგა-ციას, შემდეგ პირობების შესაკვრელათ; გერმანეთი ეხმარება დონს იარაღით, რის მაგივრათ მას ეძლევა დონის ტერი-ტორიაზე ვაჭრობაში პრივილეგიები; დო-ნის ჯარი აცხადებს ნეიტრალიტეტს და იბრძვის მხოლოდ ბოლშევიკების წინა-აღმდეგ.

— თუ ასეთი დათმობა არ შექენით ამბობს კრასნოვი, ჩვენ ვერ მივიღებთ საჭირო დახმარებას. ეხლაც ჩვენ ვიღებთ უკრაინიდან ბევრ ისეთ რამეს, რაც სა-ჭიროა ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრ-ძოლველათ.

ტაგანროგის ოლქის შესახებ ატამანმა სთქვა, რომ მასთან იყო გერმანეთის სარდლობის დელეგაცა, რომელმაც გა-ნაცხადა, რომ გერმანეთის უმაღლესი სარდლობა ამ საკითხში სდგას დონის მხარეზე. ამ დღეებში კიევის სარდლობამ ვილგელმს უნდა წარუდგინოს იმ შინა-არსის მოხსენება, რომ ტოგანროგის ოლ-ქი უნდა დარჩეს დონს.

ბრძოლა ბოლშევიკებთან.

დონის კაზაკები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბოლშევიკები მარცხდებიან. კაზაკები ატყვევებენ მათ მეთაურებს.

მიწის საკითხი.

დონის ატამანმა მიმართა გლეხებს და მიწათმფლობელებს მოწოდებით: დაუყო-ნებლივ შეუდექით მოსავალის შეგროვე-ბას და მშრომელების პირობენება და ქონება დაცული იქნება სამხედრო ძა-ლით. ატამანი ადასტურებს, რომ კერძო საკუთრება, სანამ საბოლოოთ გადა-სწყდებოდეს მიწის საკითხი, ხელ უხლე-ბელი რჩება. ამ კანონის დარღვევისა-თვის დამნაშავენი სასტიკათ დასჯილი იქნებიან.

კაზაკები და გლეხები.

დონის კაზაკებსა და გლეხებს შორის სერიოზული შეტაკებები ხდება. მიზეზი ის არის, რომ კაზაკები ატუსაღებენ აგი-ტატორებს. გლეხები აცხადებენ, ისინი წინააღმდეგი არიან საბჭოთა მთავრობის, მაგრამ მოითხოვენ ან რუსეთის დამფუძ-ნებელ კრების მოწვევას და სიკვდილით დასჯის კანონის და ტერორის გაუქმე-ბას.

დონი და უკრაინა.

სამხრეთ აღმოსავლეთის კოოპერატივე-ბის ყრილობის საბჭოს წარმომადგენელ-მა წინადადება მისცა უკრაინის კოოპე-რატივების კავშირს, რომ ამ ორი დაწე-სებულებების შორის გაჩაღდეს საქონ-ლის გაცვლა გამოცვლა. ამაზე უკრაინის კოოპერაციამ უპასუხა, საქონლის გაცვ-ლა გამოცვლის საკითხი უნდა გადაწყ-დეს საერთო მასშტაბში. დონმა გამოა-ცხადა თავისი დამოუკიდებლობა მანამ-დე, სანამ არ აღდგება რუსეთი. ამიტომ უკრაინის კოოპერაციას არ შეუძლია რა-იმე საქმე დაიკავოს დონთან, სანამ უკა-ნასკნელი არ გამოარკვევს თავის ნამ-დვილ ფიზიანომიას. უკრაინის კოოპე-რაციას შეუძლია დაიკავოს ოფიციალუ-რი კავშირი მხოლოდ რუსეთთან, წინა-აღმდეგ შემთხვევაში მას დასწამებდენ სეპარატიულ გამოსვლას, რაც აკრძალუ-ლია საზავო ხელშეკრულებით.

ევროპა.

გერმანია-ავსტრო უნგრეთის ეკონომი-ური კონფერენცია.

გერმანია-ავსტრო-უნგრეთის ეკონო-მიურ კონფერენციაზე ზალცბურგში ავ-სტრო-უნგრეთმა წინადადება შეიტანა, რომ შემოღებულ იქნეს სადამოუნო გა-დასახადის შერეული სისტემა. ახალი სადამოუნო კავშირი არ იქნება აგგრე-სიული მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა მიმართ. ახალი ხელშეკრულება ძალაში იქნება 20 წლის განმავლობაში.

რუმინიაში.

რუმინიის დეპუტატთა პალატის სხდო-მაზე სტროკიმ შეიტანა წინადადება, რომ სასამართლოში მიცემულ იქმნენ ყოფილი მინისტრები იონელი, ბრატია-ნუ და სხ., რომლებმაც, სტროკის აზ-რით, ჩაითრიეს რუმინია დაღუპველ ომში. წინადადება მიღებულ იქნა.

უნგრეთის და ბოსნიის ეკონომიური კავშირი.

უნგრეთის და ბოსნიის შორის ჩამო-ვარდა ეკონომიური კავშირი, რომელსაც მიზნათ აქვს ორივე მხარესი ეკონომიუ-რი გაძლიერება.

ხელშეკრულებების გაცვლა.

ბერლინში ოსმალეთის ელჩის ხაკი ფაშისა და რუსეთის რწმუნებულის იოფ-ფეს შორის მოხდა ბრესტ-ლიტოვსკის, 3 მაისის 1918 წ., ხელშეკრულების სა-რატიფიკაციო აქტების და რუსეთ-ოს-მალეთის დამატებითი შეთანხმებითი გა-ცვლა.

დავა ხოლმის გუბერნიაზე.

პოლონელები პრეტენზიებს აცხადებენ ხოლმის გუბერნიაზე. ისინი მოითხოვენ, რომ ეს გუბერნია მიემატოს მათ ტერი-ტორიას. ამის გამო ავსტრიის პარლა-მენტის უახლოეს სხდომაზე მოელიან უკრაინასთან ბრესტის ხელშეკრულების გადათვალიერებას.

უკრაინული პრესა.

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, უკრაინაში რევოლიუცია დამარცხდა რევოლიუციის მიერ მოპოებული სამო-ქალაქო უფლებები ფეხქვეშაა გათელილი. შემოღებულია წინასწარი ცენზურა გაზეთებზე, კრებები და მიტინგების გა-მართვა შეიძლება მხოლოდ ადმინისტრა-ციის ნებართვით, გამეფებულია საშინელი ადმინისტრატიული თვითნებობა. ატუ-საღებენ სოციალისტებს და მრ. სხვა. უფლებრივ მდგომარეობაზე ნათელ სუ-რათს იძლევა უკრაინის გაზეთი „ვპე-რიოდი“ სოც.-დემ. ორგანო. გაზეთი სწერს:

„კიევში დატუსაღებული ჩვენი ამხა-ნაგები ს.-დ. გაანთავისუფლეს. დატუსა-ღების ორდერში მათ აწერდენ, რომ ისინი ეკუთვნიან „გერმანიის ადმინი-ნისტრაციის მოწინააღმდეგე პარტიას.“ დაკითხვის დროს მათ კითხავდენ, თუ როგორ როლს თამაშობს პარტია „აჯან-ყების მომზადებაში“ და ბოლოს და ბო-ლოს ბრალს სდებდენ, რომ მათ მონა-წილეობა მიიღეს „ნებადაურთველ კრე-ბაში“ და როდესაც გამოაშკარავდა, რომ ასეთი „ნებადაურთველი კრება“ არ ყოფილა ისინი გაანთავისუფლეს.

ეს შემთხვევა მეტათ დამახასიათებელია თანამედროვე პოლიტიკური კურსისთვის— და კერძოთ ახასიათებს მთავრობის და მოკიდებულებას მუშათა და პოლიტიკურ ორგანიზაციებისადმი. ვითომც და არსე-ბობს ორგანიზაციებისა და პოლიტიკურ აგიტაციის თავისუფლება. ვითომც და ჩვენ ვსცხოვრობთ „დემოკრატიულ“ მხა-რეში და ამავე დროს სუფევს ისეთი კანონი, რომელიც მიმართულია განსა-კუთრებით მუშებისა და სოციალისტების წინააღმდეგ.

და მართლაც ვ. გ. კოროლენკომ აღ-ნიშნა, რომ დამყარებულია განსაიუთრე-ბული რეჟიმი სოციალისტურ პრესის წი-ნააღმდეგ. მაგრამ სპეციალური კანონები სოციალისტურ პრესის წინააღმდეგ არ არსებობს. არ არის კანონები ჯარიმე-ბისა და გაზეთების პასუხის გებაში მი-ცემის შესახებ, მაგრამ, მიუხედავათ ამი-სა, სოციალისტური გაზეთებს აჯარიმე-ბენ ხურავენ და ხელმძღვანელებს პასუ-ხისგებაში აძლევენ.

და ასეა პოლიტიკურ ცხოვრების ყველ-ლა დარგში. არ არის კანონი, რომელ-შიაც აღნიშნული იყოს, რომ ყოველ კრებას სჭირია ადმინისტრაციის ნებარ-თვა. მაგრამ კრებებს უნებართვოთ შლი-ან და მონაწილეებს ატუსაღებენ.

არ არის კანონი ეკონომიურ გაფი-ცვების და აგიტაციის აკრძალვის შესა-ხებ, მაგრამ გაფიცვის თავისუფლება შე-ზღუდულია და აგიტატორებს სასტიკათ დევნიან. ჩვენ არ ვლაპარაკობთ მუშე-ბის დაწყნარების იმ საშუალებებზე, რო-მელთაც ხშირათ მიმართავენ მაგალ-ბინიდან გადასახლება, მათ გონების რე-კვიზიცია და სხ.

მუშათა და სოციალისტური ორგანი-ზაციები ფორმალურათ არ არის აკრძა-ლული, ფაქტიურათ კი მათ უხდებათ არა ლეგალური არსებობა. პოლიტიკის თა-ნამედროვე კურსი აიძულებს მათ არა-ლეგალური მუშაობა აწარმოვონ.

მასის მოკვდეგა. *)

(იხ. სოც.-რევ. № 27).

ბოლშევიკური გადატრიალება.

წინა წერილში ჩვენ გავარკვიეთ მა-სას პსიხოლოგია. ეხლა ჩვენთვის ად-ვილი გასაგებია ბოლშევიკური „გადა-ტრიალება“. ბოლშევიკები თავის გამო-სვლაში ეყრდნობოდენ შეუგნებელ ბრბო-ზე. თუმცა ამ ბრბოს ხელმძღვანელობდა მცირე ნაწილი რევოლიუციონურ პრო-ლეტარიატისა, მაგრამ ავანგარდსა და არიერგარდსა, ბრბოს, შორის თითქმი არავითარი შინაგანი კავშირი არ ყოფი-ლა. ბრბო გაყვა ბოლშევიკებს იმ კანო-ნით, რომელიც ჩვენ წინა წერილში აღ-ვნიშნეთ. მასა ხანგრძლივი ომით და ში-მშილით დაიღალა თავის იმედი დაკა-რგა და ხსნა გარეშე ძალაში ეძია. ასეთი ძალაც, ბოლშევიკების სახით, მას მოევლინა. ბოლშევიკებმა მასას ყოველივე ბედნიერება აღუთქვეს; დაუყონებლივ ზავი, მშიერების დაძლომა და სხვ.

*) ეს წერილი დაწერილია ბოლშევიკების ბატონობის ხანაში. პირველი ნახევართ ამ წერილისა დაისტამბა გაზ. „სოც.-რევ“. № 27, მეორე ნახევარი კი დაიწვა რედაქციასთან ერთათ. ავტორმა ახლა აღადგინა წერილის ეს მეორე ნახევარი, და რადგანაც ეს ინტერეს მოკლებული, ვსტამბეთ.

რედ.

ბრბოც. გაბრუებული ასეთი დიდი დაპირებით, ბოლშევიკებს გაყვა და გადატრიალება მოახდინა. ამ შემთხვევაში ეს ბრბო უბრალო იარაღი შეიქნა ბოლშევიკების ხელში, რადგან მას კრიტიკულათ არ დაუფასებია თვისი გამოსვლა და მისი შედეგები. აქ რომ შეუგნებელ ბრბოსთან გვაქვს საქმე,—ეს, სხვათა შორის, იმით მტკიცდება, რომ ის მოუთმენლად ხან აქეთ ეხეთქება და ხან იქით და ეძებს ხსნას თავის თავში კი არა, სხვაში მოუთმენლობა და სხვისი შემყუროება შეუგნებელ მასის პსიხოლოგიის ნიშან დობლივი თვისებაა. რევოლიუციის პირველ ხანებში ბოლშევიკების ლაშქარი კერენსკიდან და მის მთავრობიდან მოელოდა ზეციურ მანას. კერენსკიმ მანა ვერ გადმოყარა და მხსენებულმა ლაშქარმა ბოლშევიკებისაკენ მიაშურა.

თუ ბოლშევიკებს ცოტა დაუგვიანდათ და ყოველივე დაუყონებლივ დაპირებისამებრ ვერ განახორციელეს, მათ საშინელი ბედი მოელით. ბრბო მათ შეუტევს და აღგვის დედამიწის პირიდან. უაღრესად შეგნებული მშრომელი მასის ის ნაწილია, რომელიც ბოლშევიკების მომხიბლავ ლოზუნგებს არ გაყვა, სინამდვილეს კრიტიკულათ შეხედა და მომწიფებული საკითხების ორგანიზაციულათ და არა ბოლშევიკურათ, ანარქიულათ გადაჭრა მოისურვა. მასის ეს ნაწილი არაა საშიში, რადგან ის ინსტიქტით კი არ მოქმედებს, მშრალი გონებით და მასთან თავის თავის იმედი აქვს და არა გარეშე ძალის.

ამიტომ შეფერხება, შეჩერება ბრძოლაში მას სასოწარკვეთილებაში ვერ აგდებს. თუ რაიმე შემცდარი ნაბიჯი გადადგა. თავის თავს დააბრალებს და ეცდება თვით კრიტიკით შემდეგში ასეთი ნაბიჯები აიცილოს. ასეთია მასის შეგნებული ნაწილის მოქმედება და პსიხოლოგია. ყველა ზევით ნათქვამის შემდეგ კითხვა უფრო კონკრეტათ დავსვათ: მიზანშეწონილია თუ არა ბოლშევიკური „გადატრიალება“ და შეძლებენ თუ არა ისინი ცხოვრების ხელმძღვანელობას დაპირებისამებრ?

—პასუხი ამ კითხვაზე მხოლოთ ერთი შეიძლება—არა. იმიტომ არა, რომ მათ მხარეზე არაა რეალ.-ძალთა განწყობილება და მათი პოლიტიკა არ ეხამება ცხოვრების არც ერთ დარგს.

გადავხედოთ აბა სინამდვილეს, რას დავინახავთ იქ. ჩვენ ვამბობთ, რომ ბოლშევიკების მხარეზე, თუმცა მათ გადატრიალება მოახდინეს, არ არის მშრომელი დემოკრატიის უმრავლესობა. მართლაც. მშრომელი გლეხობის უმრავლესობა და პროლეტარიატის თვალსაჩინო ნაწილი ს—რ. არც მენშევიკებია სულ უჯარო ღენერლები, მათაც ყავთ ნაწილი პროლეტარიატისა, თუ აქ მხედველობაში მივიღებთ ხალხის დანარჩენ ნაწილს ს: ბურჟუაზიას, რომელიც, რაც უნდა ვსთქვათ, მაინც თვალსაჩინო ძალას წარმოადგენს თვისი კლასიური ინტერესების შეგნებით, შეკავშირებით, კაპიტალით და სხვა, სხვადასხვა მეშჩანურ ჯგუფებს თვისი წვრილი ბურჟუაზიული პსიხოლოგიით, რომელნიც აგრეთვე ბოლშევიკებს არ გაყვებიან, თუ ყოველივე ამასთან არ დავივიწყებთ იმას, რომ თვით იმ მასის თვალსაჩინო ნაწილი, რომელმაც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გადატრიალება მოახდინა საეჭვო ღირსებისაა, რომ ის მხოლოთ მექანიურათ და არა შინაგანი ლტოლვილებით და გაგებით გაყვა მათ, მაშინ აშკარა შეიქნება ჩვენ ის, რომ ბოლშევიკები ჰაერზე არიან გადმოკიდებული და რეალ ცხოვრების პასუხის გასაცემათ მათ საკმაო ძალა არ შეწევს. დაუყონებლივ ზავს, რომელი სოციალისტი არ მოითხოვს?! მაგრამ საკითხის მთელი სიმძიმე იმაშია, თუ როგორ ჩამოვაგდოთ ეს სანეტარო ზავი და როგორ შევწყვიტოთ ძმათა შორის სისხლის ღვრა უბრალო ცირკულარებით და მოწოდებებით ეს არ ხერხდება, ეს თვით ჩვენი თვალით დავინახეთ, როდესაც რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატიის სამართლიანი მოწოდება ამის შესახებ დარჩა ხმათ მღადადებელისა უდაბნოსა შინა. მოწოდების გარდა რეალი ნაბიჯს გადადგმა იყო, საჭირო. ასეთი ნაბიჯიც გადადგა ჩვენმა დემოკრატიამ შეუდგა ევროპის დემოკრატიის მომზადებას დაორგანიზაციის ზავის სასარგებლოთ, მაგრამ ბოლშევიკებმა თავისებურათ ანარქიულათ მოინდომეს ზავის საკითხის გადაწყვეტა, ვნახოთ, როგორ გადაწყვეტენ ისინი ამ საკითხს დაწვრილებით ამ საკითხის განხილვას აქ არ შეუდგებით, რადგან ამ წერილის საგანი ეს არაა. ვიტყვი მხოლოთ, რომ ეს საკითხი მეტად რთული საკითხია და ბოლშევიკები კიდევ უფრო გაართულებენ მას.

ვერც მიწის საკითხს გადაწყვეტენ ბოლშევიკები იმ გზით, რა გზითაც ისინი ამ საკითხის გადაწყვეტას ცდილობენ. როგორც ვიცით, ბოლშევიკები მიწის ნაციონალიზაციის მომხრენი იყვნენ, ს.-დ. გაზ. „ალიონი“ № 10 ამის შესახებ სწერს: „სოც.-დამოკრატების ერთი ფრთა (ლენინი და მისი მომხრენი) აგრარული საკითხის გადაჭრას მუნიციპალიზაციის სახით შეცდომათ აღიარებენ და მიწის ნაციონალიზაციას ესარჩლებიან. მათის აზრით კერძო საკუთრება უნდა მოისპოს და მთელი მიწის მესაკუთრეთ დემოკრატიული სახელმწიფო უნდა გამოცხადდეს მაშასადამე მიწას ფლობს სახელმწიფო, სახელმწიფო განაგებს და სცემსმას იჯარით და მთელი მიწის შემოსავალი სახელმწიფოს ხელში გადადის“.

ასე წყვეტდენ ბოლშევიკები მიწის საკითხს, მაგრამ დაინახეს რა, რომ რუსის გლეხობა თხოულობს მიწის სოციალიზაციას, ბოლშევიკებმა არც აცივეს, არც აცხელეს მოსტაცეს ესერებს სოციალიზაცია და დეკრეტით მიართვეს გლეხობას. არაა საჭირო შორს მჭრეტველობა, რომ დაინახო და გაიგო, რომ ბოლშევიკები დარგშიც თვისი წინდაუხედველი და არამიზანშეწონილ ნაბიჯით დიდ არევ-დარევას შეიტანენ და ისედაც რთულ მიწის საკითხს კიდევ უფრო გაართულებენ და შესაძლოა შექმნან ისეთი პირობები, რომ მის მიზან შეწონილ გადაწყვეტაზე ახლო მომავალში ფიქრიც კი შეუძლებელი შეიქნეს.

ი—ხ.

პარტიის ცხოვრებიდან.

ქ. ოზურგეთში მოწვეულ იქმნა ს.-რ. პ. გურიის ორგანიზაციების კონფერენცია. გამოცხადნენ ცხრა ორგანიზაციის წარმომაღგენლები და გურიის ცენტ.-კომ. 5 წევრი. იყვნენ წარმომადგენლები შემდეგ ორგანიზაციებიდან: მელექედურის, მაკვანეთის, ლეხაურის, ახალ-სოფელის, გომის, მიქელგაბრიელის, სოფ. ოზურგეთის, ოზურგეთის, გოგიეთ კვირიეთის. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმში: თავმჯდომარეთ ამხ. გრ. კვაშალი, ამხანაგათ გიორგი ჩხარტიშვილი, მდივნებათ გიორგი კვაშალი, და ფილიმონ პროკენკო. კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ტრაღიკულად გარდაცვალებულის ამხანაგ ვლ. გობეჩიას ხსოვნას, და გურიის ცენტრ. კომიტეტის წევრის ხსოვნას სანდრო ქადეიშვილისასა

დღის წეს-რიგი:

მოხსენება ადგილებიდან,

გაზეთი,

ბიუროს გაუმჯობესობის საქმე,

გასული წლის ანგარიში,

საერთო კასის საქმე,

საერობო არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

მოხსენება დამფუძნებელ ყრილობის შესახებ, რომელიც შესდგა ქუთაისში,

სიმინდი,

იარაღი.

კრებამ ერთხმათ მიიღო ზემოხსენებული დღის წესრიგი.

კონფერენციამ მოისმინა მოხსენება ადგილებიდან. ყურადღება მიიქცია გომის ორგანიზაციამ.

აქ პარტიული მუშაობა კარგათ სწარმოებს და და დიდი ძალებიც გვყოლია. ზემოხსენებულ ორგანიზაციაში 3000-მდე წევრი ყოფილა.

გაზეთის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ჩხარტიშვილმა, რომელმაც აღნიშნა პარტიული გაზეთის მნიშვნელობა და მოუწოდა ამხანაგებს, რომ ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, სადაც არის სამკითხველო, გამოიწეროს ჩვენი გაზეთი.

ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. კალანდარაშვილმა, კვაშალმა, პროკენკომ და სხ. რის შემდეგ კონფერენციამ დაადგინა: გაზეთი რომ სისტემატიურად ვრცელდებოდეს, თვალყური ადევნოს ბიურომ, აგრეთვე დაევალოს ორგანიზაციებს აუცილებლათ გამოიწერონ ჩვენი პარტიული გაზეთი.

ბიუროს შესახებ ილაპარაკა ამხ. გ. ჩხარტიშვილმა. მოუწოდა ამხანაგებს ყოველი ზომა მიიღონ მოაწყონ ბიურო კარგათ.

მეოთხე საკითხი, რადგანაც მოლარე არ იყო ღიათ დარჩა.

მეხუთე საკითხის შესახებ კონფერენციამ დაადგინა: ყველა ორგანიზაციებმა გაუწიოს საერთო კასას ერთდროული დახმარება.

მეექვსე საკითხის შესახებ ილაპირაკა ამხ. გ. ჩხატარაიშვილმა. კონფერენციამ და ადგინა პარტიებთან დამოკიდებულების საკითხი არჩევნების ნიადაგზე ჯერჯერობით ღიათ დარჩეს.

დაევალა ყველა ორგანიზაციებს შეუდგნენ ერობის არჩევნებისათვის მზადებას.

მეშვიდე საკითხის შესახებ ილაპარაკა აგრეთვე ამხ. გ. ჩხარტიშვილმა, რომელმაც გააცნო კონფერენციას ჩვენი პარტიის შეხედულობა მომენტზე.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. გრ. კვაშალმა. მან აღნიშნა ყრილობის მოწვევის მიზანი ამასთანავე ცენტ. კომიტ. არჩევა და მისი მნიშვნელობა. კონფერენციამ დაადგინა: დაემორჩილოს ცენტ. კომიტ. დერეკტივებს.

მერვე საკითხი კონფერენციამ დასტოვა ღიათ.

იარაღის შესახებ კონფერენციამ დაადგინა: ჩამოერთვას ყველა ჩვენ პარტიის წევრებს, რომელთაც არ ექნებათ სათანადო მოწმობა პარტიისაგან.

თავმჯდომარე **გრ. კვაშალი**.

მდივანი **ფილ. პროცენკო**.

ზეკარის მთეგში.

შავი ღამეა. ცამდე აღმართულ მთის მწვერვალზე ვზივართ.

ერთმანეთს ვხედავთ. აღტაცებით ვლაპარაკობთ აქაურ სიმშვენიერეზე.

თვალუწვდენელი მდუმარე ხენი, მიხვეულ მოხვეული ბილიკები, აქოჩრილი მთები. რა ლამაზია რა წარმტაცია ეს მიდამო! ქართველი მას ვერავის დაუთმობს მეუბნება მეგობარი გრიშა...

ამ წამს არ დავიზოგავ თავს, სისხლი მომწყურდა, მინდა ვიქნე შეუპოვარი, რისხვად მეხის მომვლინებლად მივიჭრე მტერთან... ტრ... ტრ... გაისმა ტელეფონის ხმა.. არტილერია მოქმედებას იწყებს... ძალზე რათ არ ასვენებენ ჩვენს პაწია სამშობლოს??..

ვის რას უშავებთ?! გვრგვინავს ზარბაზნები... ცეცხლის ალი ავარდა კლდეზე... ნადირი დაფრთხა, შეჰკივლა!.. ნეტავ რა ამბავია მტრის ბანაკში?.. მარჯვენა სწორათ სცემს ჩვენი ზარბაზანი...

არტილერია დადუმდა. ქვეითა ლაშქარი ყიჟინით წინ მიდის... გვწადია მათთან ყოფნა... აყეფდა, ტყვიის მფრქვეველი!..

გათენებისას უღელტეხილს გადავალთ. ამბობს ჩემი მეგობარი... ომი მაშინ მიყვარს, იმ დროს მიზიდავს, როცა ჩვენ ვიმარჯვებთ...

გარდა ამისა, მე მინდა ყველაფერი მალე გათავდეს განაგრძობს გრიშა... ტელეფონის მოხსნა გვიბრძანესწინ მივდივართ..

შიმშილი, ღალღილობა ჩვენზე არ მოქმედებს... მუხლები რკინად გვექცენ. გავრბივართ, ვიცინით... შეგვაჩერეს, მოვაწყეთ ტელეფონი, გადავეცით ნიშანი, აგრიალდა ზარბაზნები.. შორს გმირული სიმღერა ისმის... რიჟრაჟი ახლოვდება... აჭიკჭიკდა ფრინველი, ერთ ხიდან მეორე ხეზე ამაყად გადაფრინდა თითქოს მე ყველას დავასწარი წამოფრენაო... ნისლი შეირხა. ინათა... აი, მორბის 11—12 წლის ყმაწვილი ხელში ყუთი უჭირავს... სად არის ჩვენი როტა. მას ტყვიები შემოაკლდა, ქვეიდან ამოვარბენიე.

მზე ამოვიდა, მოუთმენლად ველით წინ სვლის ბრძანებას... დავიჯერეთ, რომ სიხარული, გამარჯვება სულ ჩვენთან უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვიცავდით კეკლუც სამშობლოს, არავის ვებრძოდით.

მზე მიეფარა ღრუბლებს... ყორანმა თავზე გადაგვიარა და დაგვჩხავლა: ომში უხეში ძალა იმარჯვებს...

ჩვენი ლაშქარი მცირეა... მტერი ურიცხვი!..

ჩვენ თვალ წინ შავი აჩრდილი წამოიჭრა!..

ნაადრევი სიხარული ფუჭია... გვეშინია, ვერიდებით ლაპარაკს, არაფერი წამოგვცდეს გულის მომკვლელი... მთელი დღე მწუხარეთ. დაღვრემილად, სევდიანად ვართ!... ვაი, რას მოგვიტანს ის საათი ის წუთი!..

შიმშილობამ თავისი გაიტანა, თითქოს ჩვენდა უნებურად თავის თავად პირში ჩაგვივარდა გამხმარი პური და კბილები მათ მტვრევას შეუდგენ!..

საღამოა...

ბრძანებას აგვიანებენ!.. ტრ... ტრ... დარცხვენილად რეკს აპარატი...

მოსვლა გვეშინია, ვაი, თუ!..

უ...კან... დახევა... ოჰ რა საზარი, გულის მჩხვლეტავი, სულის მომწამლავი სიტყვებია!..

მე უკან სვლა აღარ ძალ მიძს...

ვინატრებდი, მტერთან შეხვედრას. გაგიჟებულად შებმას... სიცოცხლეზე გული არ დამწყდებოდა, ბუტბუტებს გრიშა.

უკანასკნელად აყეფდა ჩვენი ტყვიის მფრქვეველი... ყველანი წავიდენ...

გიორგი მოჰკლეს!.. ვაჟკაცურად იბძოდა გულ გმნგმირული თურმე იძახოდა... ოჰ, ღმერთიო ნუცა... წუხელის დამესიზმრა ვითომ შენ მიღალატე... ნუ თუ დაივიწყე აღთქმის ღამე... ზეკარის სამოთხევ, თვალ ცრემლიანი გშორდები, მაგრამ ხელს არ მართმევ, ისევ ჩქარა მოვალ შენს გულზე მტერს არ ვატარებთ... ამაყად წარმოსთქვა ერთმა...

ნეტამც!...

დე ასე იყოს!..

ზეკარის მთებო. ნახვამდის... წამოვილულღეთ ჩვენ!..

მთიდან დავეშვით ახლა ვიგრძენით დაღლილობა, სიმშილი. გუშინ სიხარულით ეკლიან მთაში რომ გავრბოდით, ხელფეხი გავიკაწრეთ... ტკივილი ახლა გაცოცხლდა.

იდ

პროვინცია.

სოხუმი. შრომა და მეცადინეობა ნაყოფს გამოიღებს. ეუბა-ლოკობას (ეს გვარება აქაურ ბოლშევიკების მეთაურების) პროვოკაციულ მოქმედებამ შექმნა სოხუმის ოლქში კოდორის ფრონტი (20 ვერსის მანძილზე ქ. სოხუმიდან აღმოსავლეთით), რომლის დანგრევის შემდეგ ხალხს უნდა ახილვოდა თვალები და დაენახა ყველა იმათი მატყუარობა-საზიზღრობა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს ასე არ მოხდა და ამავე ვაჟბატონებმა შესძლეს შეეყრობათ საკმარისი ჯარი გლეხებისაგან და 18 ივნისს თავს დაესხნენ ქ. გუდაუთში რიცხვით 140 კაცს. ეს ჯარი იყო ნაწილი თფილისის წითელი გვარდიისა, რომელმაც დაანგრია მდინარე კოდორის პირზე ბოლშევიკების პოზიცია. ეს თავდაცემა მოულოდნელი იყო და მასთან მტერი შედარებით მეტი და ამიტომ 11 კაცი მოგვიკლეს, ნაწილი ტყვეთ წაიყვანეს და მცირე ნაწილმა კი შესძლო გამოერღვია ფრონტი აღმოსავლეთით სოხუმისკენ და გამოსულიყო. ამის შემდეგ გაჩნდა მეორე ფრონტი ახალი აფონის ოკი ვერსის მანძილზე სოხუმიდან დასავლეთით. ამ ფრონტმა დიდხანს ვერ გასძლო, რადგანაც თფილისიდან მოაშველეს ახალი ძალები ღენ. მაზნიაშვილის მეთაურობით, მაგრამ მსხვერპლი კი შეიწირა უფრო მეტი, ვინემ კოდორის ფრონტმა. როგორც აქიდგან, ისე ბოლშევიკების ჯარისაგან.

საქართველოს მთავრობის ჯარმა აიღო ახალი-აფონი და გასწია წინ, აიღო გუდაუთი, გავიდა მდინარე ბზიბზე, რომელიც ითვლებოდა ძლიერ მიუდგომლთა თავისი ბუნებრივი სიმაგრეებით და შევიდა გაგრაში.

ამ გამარჯვებამ საქართველოს რესპუბლიკის ჯარისა თავზარი დასცა იმათ, რომლებიც ფიქრობდნენ თავის უფლებაბატონობის აღდგენას, რითაც არ უნდა დაჯდომოდათ. აქვე უნდა ავღნიშნო, რომ აფხაზების მოხალისე რაზმები დიდ ენერგიულ მონაწილეობას ღებულობდა, როგორც კოდორის ფრონტის აღებაში, ისე ახალ-აფონის და სხვების. შემთხვევით უნდოდათ ბნელ ძალებს ესარგებლად და ამისთვის მონახეს დრო. შეიარაღებული ოსმალონი, ყველაფერით მოწყობილობით ამოასხეს სოფელ წყურგვილში მათი მიზნები აშკარა იყო.

საქართველოს ჯარის უფროსმა სოხუმის ოლქში ღენერალ მაზნიაშვილმა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლებმა შეეკითხეს ოსმალოს ჯარის წარმომადგენლებს, თუ რისთვის ქალაქ. დაახლოვებით უპასუხეს: ჩვენ ვარ აფხაზები, გაგიგეთ, რომ ჩვენს ძმებს აფხაზებს ავიწროვებენ სხვა ერები. ჩვენ ჩამოვედით ჩვენი ძმების მოსახმარებლად ჩვენს სამშობლო აფხაზეთში დასარჩენად.

ასეთმა პასუხმა ვერ აუხვია თვალები ჩვენ წარმომადგენლებს. მათ უპასუხეს: მოხაჯირების ჩამოსვლა ჩვენთვის დიდი სასიამოვნო იქნება, მაგრამ ისინი უნდა ჩამოვიდნენ უიარაღოდ და ცხადათ და არა მალულად. აფხაზეთს არაფერი საფთხე არ მოელის, არც ვინმე ავიწროებს მას და ამიტომ თქვენი დახმარება საჭირო არ არის და უკან წაბრძანდითო. დაუნიშნეს დრო 24 საათი, რომლის განმავლობაში უნდა აეყარათ იარაღი და გასულიყვნენ სოხუმის ოლქიდან, თორემ უკანასკნელ შემთხვევაში იარაღით გარეკდენ. ეს სტუმრები შეშინდნენ, იარაღიც დასტოვეს და თვითონაც წავიდნენ. ასე ძველი წესწყობილების მოტრფიალენი დამარცხდნენ, მაგრამ მოსალოდნელია კიდევ ბრძოლა მათგან, რადგანაც რევოლიუციის მიერ გაღრმავებულის აზოვსება უკვე დაიწყო და, რასაკვირველია, შეეცდებიან, რომ მთლად ამოსწორებული იქმნას, რომ ნაკვალევიც არ აჩნდეს რევოლიუციის.

თავისუფლებას შემოესიენ მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც, აღმოსავლეთიდანაც და დასავლეთიდანაც, თავისუფლებას გაუჭირდა მტერი შიგნითაც და გარეთაც, მაგრამ შეგნება და თავისუფლების მტრები ვამოვიდნენ ასპარეზზე, სიყვარული ამარცხებს შეუგნებლობას და ყველანაირ მტერს თავისუფლებისას.

სოხუმში ხმა გავრცელდა, რომ რუეთში ტახტზე მიხეილ რომანოვი დააჯინესო და ამ ამბავმა ბურჟუაზიულ წრეებში დიდი სიხარული გამოიწვია და ლაპარაკობენ ზოგიერთი ენები, რომ საჩუქარსაც კი ჰპირდებიან იმ პირს, ვინც ოფიციალურად ახარებს ამ ბედნიერებას. და ეს იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად საჭიროა ყველა მშრომელ ხალხის შეკავშირება და ძალების არ დაქსაქსვა და მოსპობა იმ გამანადგურებელ სამოქალაქო ომის, რომელმაც დააქცია რუსეთი, დაღუპა ხალხი, გაანადგურა თავისუფლება, აუბნია გზა-კვალი მშრომელ ხალხს და დაუკარგა იმედები. ძალა მშრომელი ხალხის შეგნება-შეკავშირებაშია.

მორცხვი.

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია გამომცემელი ცენტრალური კომიტეტი.

დაკარგე

აბაშიდან ფოთში მიმავალ მატარებელში საფულე, სადაც ჩემი სწავლის მოწმობა იყო № 371. მოწმობა უვარგისათ უნდა ჩაითვალოს.

ბაგრატ უჩანეიშვილი.

მასტარეგლეგის მიმოსვლა

1918 წლის 1 ივლისიდან.

თფილისიდან ფოთისაკენ.

№ 61 მცხეთამდე — დილის 8 საათზე.
№ 23 ფოთამდე — „ 10 „
ბორჯომამდე—ნაშუადღევის 3 ს. 25 წ.
ქუთაისამდე — საღამოს 9 ს. და 10 წ.

თფილისიდან განჯისაკენ.

№ 4 განჯამდე — დილის 7 ს. და 5 წ.
№ 32 საღოლამდე დილის 3 „ და 56 „

თფილისიდან კარაკლისამდე.

№ 4 კარაკლისამდე — დღის 1 საათზე.

თფილისიდან კახეთში.

საფოსტო გადის დილის 8 საათზე.

მიიღება ხელის მოწერა უოველ-დღიურ გაზეთ

„შ რ ო მ ა“-ზე

გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანეთი.

მისამართი: თფილისი, ჭავჭავაძის ქუჩა № 4 გაზეთ „შრომის“ კანტორა.

თბილისი, სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგრბისა, გოლოვინის ქუჩა № 26.